პროლეტარებო ყველგან ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 257 (10033) | პარასკევი, 29 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აყვავებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან).

სოფლის აგიტატორთა საბრძოლო ამოცანა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმებმა პარტიულ ორგანიზაციებს საბრძოლო ამოცანად დაუსახეს უახლოეს ორ-სამ წელიწადში უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა. ამ დიდი ამოცანის განხორციელება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს აქტივობას, დარაზმონ მშრომელები საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის საბრძოლველად.

პარტიის მიერ დასახული ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის ძალების მობილიზაციის საქმეში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უნარიანად იყენებენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდიდარ ფორმებს. აგიტატორთა საშუალებით პარტიული ორგანიზაციები მჭიდრო კავშირს ამყარებენ მუშებთან, კოლმეურნეებთან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან, აცნობენ მათ ჩვენი ქვეყნის საშინაო პოლიტიკისა და საგარეო ურთიერთობის საკითხებს, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს.

უაღრესად მნიშვნელოვანია აგიტატორების საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევების პროპაგანდაში. თავიანთი საუბრებით ისინი ხელს უწყობენ იმას, რომ სოფლის მეურნეობის ყოველი ახალი მნიშვნელოვანი მიღწევა საერთო-სახალხო კუთვნილება გახდეს. აგიტატორები, მომხსენებლები ჩვენს ადამიანებში ავითარებენ შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, იბრძვიან ადამიანთა შეგნებიდან კაპიტალიზმის გადმონაშთების — ლოთობის, ხულიგნობის და სხვა მავნე ჩვეულებების აღმოსაფხვრელად, კონკრეტული მაგალითებით უჩვენებენ შრომელებს კაპიტალიზმის ამ გადმონაშთების მავნე, საზოგადოებისა და პიროვნებისათვის საზიანო შედეგებს.

პოლიტიკურ აგიტაციას ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი ათასი აგიტატორი ეწევა. ისინი გაერთიანებული არიან პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ აგიტკოლექტივებში. ბევრმა აგიტკოლექტივმა მასებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება შეიძინა. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, მაგალითად, წითელწყაროს რაიონის წითლის მტს-ის აგიტკოლექტივი. აქ სისტემატურად ეწყობა აგიტატორთა მეცადინეობა, რომელზეც აგიტატორები იღებენ ინსტრუქტაჟს მომავალი საუბრების თემებზე, ცნობებს მტს-ის წინაშე მდგომ ამოცანებზე, კონსულტაციას და მეთოდურ მითითებებს. აგიტატორთა სემინარი აქ ნამდვილი სკოლაა. დიდი ყურადღება ექცევა მოწინავე აგიტატორთა მუშაობის გამოცდილების შესწავლას და განზოგადებას. აგიტატორებისათვის ხშირად იმართება ლექციები საბჭოთა კავშირის საშინაო-მდგომარეობისა და საგარეო ურთიერთობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საკითხებზე, სამეცნიერო-ათეისტურ თემებზე.

აგიტკოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას. წითელწყაროდან სოფლის მეურნეობის ბევრი მოწინავე წარგზავნეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მოსკოვიდან მათ მრავალი საინტერესო ამბავი ჩამოიტანეს. აგიტატორები ფართოდ იყენებენ მათს ნაამბობს, აწყობენ გამოფენის ექსკურსანტების გამოსვლებს კოლმეურნეთა წინაშე. ამ მხრივ აღსანიშნავია აგიტატორების ბ. რობიტაშვილის, ე. ჩაიკას და სხვების მუშაობა. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის კარგად მოწყობის, პრაქტიკაში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე მტს-მა საშემოდგომო თესვის დავალება ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა.

სერიოზულ მუშაობას ეწევა აგრეთვე სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივი. ამ აგიტკოლექტივს პარტიიურის მდივანი ბ. ჯალიაშვილი ხელმძღვანელობს. სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების პერიოდში. ყველგან — საწარმოო ბრიგადებსა თუ ფერმებში, თიბვასა თუ სილოსის დამზადებაზე მომუშავე კოლმეურნეებთან გაისმის აგიტატორის მგზნებარე ხმა, ცოცხალი, მართალი სიტყვა. აგიტატორებმა დიდი როლი შეასრულეს იმაში, რომ სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობა კარგად მოემზადა პირუტყვის გამოზამთრებისათვის. შეკეთებულია ბინები, ადგილზე მიტანილია საკმაო თივა და ნამჯა. გადაჭარბებით შესრულებულია სილოსის დამზადების გეგმა. აგიტატორები სისტემატურად ესაუბრებიან კოლმეურნეებს, აწყობენ გაზეთების ხმამაღალ კითხვას, რაზმავენ მშრომელებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ივიწყებს ადამიანებთან მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. მათ არ ესმით, რომ მხოლოდ პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამება უზრუნველყოფს მტკიცე სამეურნეო წარმატებას. ამ პარტიულ ორგანიზაციებში საჭიროდ არ მიაჩნიათ ყოველკვირეულად მოაწყონ აგიტკოლექტივების მეცადინეობა. ასეთი ნაცდარი შეხედულება იწვევს აგიტატორთა საქმიანობაში თვითდინებას, საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩაშლას.

ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ჩაშლილია. საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში აგიტატორები თვეობით არ ნიდიან. აგიტკოლექტივი ფორმალურად არის შექმნილი. იმის გამო, რომ სრულებით არ ეწყობა აგიტკოლექტივის მეცადინეობა, აგიტატორებმა არ იციან, რა ძირითად საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ბ. თათარაიძე მოწყვეტილია საკოლმეურნეო ცხოვრებას, არ იცნობს კოლმეურნეობისა და ბრიგადების საწარმოო გეგმებს. ასევე სუსტად მუშაობს ამავე რაიონის სოფელ მაღრაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივი (ხელმძღვანელი ე. ხუბეჯაშვილი).

პოლიტიკური აგიტაცია კონკრეტული, მიზანდასახული და ქედითი, ცხოვრებასთან, ადგილობრივ სამეურნეო საკითხებთან მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყოს. აგიტატორი პარტიის საქმისათვის მებრძოლია, იგი არ შეიძლება დამშვიდებული იყოს, თუ ამჩნევს ნაკლოვანებებს, ვერ შეურიგდება სამუშაოს გამცდენებს და ზარმაცებს. აგიტატორი მოწოდებულია ულმობელ ბრძოლას ეწეოდეს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, ზრდიდეს მასებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ნინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით, ეხმარებოდეს პარტიულ ორგანიზაციებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ბრძოლაში.

ამჟამად სოფლის პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა დარაზმონ მასები საშემოდგომო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, პირუტყვის კარგად გამოზამთრებისათვის, სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის. ამ საქმეში დიდი როლი აკისრიათ სოფლის აგიტკოლექტივებს, აგიტატორებს. მათი მოვალეობაა აამაღლონ მასების აქტივობა, დარაზმონ ისინი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

საჭიროა პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიკომები ყოველდღიურად ზრუნავდნენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის იდეური შინაარსის გაუმჯობესებისათვის. ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები ხშირად უნდა იქყოფებოდნენ მასებში, იძლეოდნენ ადამიანებთან ცოცხალი მუშაობის მაგალითს. სისტემატურად გამოდიოდნენ მათ წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით.

ოქტომბრის 25 დღეში — ორი თვიური ნორმა

ჩისტიაკოვო (სტალინოს ოლქი), 26 ოქტომბერი. (საკ. ინ.). დონბასში მოწინავე „ჩისტიაკოვანტრაციტის“ ტრესტის მაღაროელები ღირსეულად ასრულებენ საოქტომბრო ვალდებულებებს. ისინი ყოველდღე იღებენ ასობით ტონა ზეგეგმითს ქვანახშირს.

დიდი საწარმოო წარმატებებით ხვდებიან დიად დღესასწაულს ლუტუგინის სახელობის შახტის მექანიზატორები. დღეს მძიმე საყელავი მანქანის მემანქანეებმა ვლადიმერ შარაფანოვმა და ანტონ პოროხნიამ ორი თვის დავალების შესრულება დაამთავრეს. ოქტომბრის 25 დღის განმავლობაში მათ აღმოსავლეთის პირველ ლავაში დაყარეს 23.400 ტონა ანტრაციტი — თვიურ ნორმაზე ერთიორად მეტი. საყელავი მანქანის ასეთი დიდი წარმადობა სტალინოს ოლქში პირველად არის მიღწეული.

საყელავი მანქანის მემანქანეებმა ახლებურად მოაწყეს საწარმოო პროცესი და მკვეთრად შეამცირეს მანქანის მოცდენა.

უბნის კოლექტივმა, სადაც მოწინავე მექანიზატორები შრომობენ, თვის დამდეგიდან 28 ციკლი გააკეთა და გეგმას დამატებით მთელი ეშელონი ანტრაციტი ამოიღო.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 27 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით ჩაბარდა 3.100 ტონა ყურძენი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 3.000 ტონისა.

ყურძნის ჩაბარება გრძელდება.

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 26 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით ჩაბარდა 10.800 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 10.000 ცენტნერისა.

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა 125 პროცენტით შეასრულეს. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 558 ტონა ყურძენი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 350 ტონისა.

წაღკის რაიონმა კარჯოუნიის ჩაბარებისა და მზრალად ხვნის წლიური გეგმა შეასრულა

წალკის რაიონის კოლმეურნეობებმა 27 ოქტომბრისათვის დაამთავრეს კარტოფილის მოსავლის აღება. გამოყოფილია სათესლე კარტოფილი. სახელმწიფოს ჩაბარდა 3.300 ტონა ნაცვლად 3.290 ტონისა. კარტოფილის ჩაბარება გრძელდება.

რაიონის მტს-ებმა მზრალად ხვნის წლიური გეგმა 109 პროცენტით შეასრულეს. მზრალად ხვნა გრძელდება.

ლანჩხუთის მგს-მა ხვნის წლიური გეგმა შეასრულა

ლანჩხუთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა 106 პროცენტით შეასრულა 1954 წლის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა. მოხნულია 27.584 ჰექტარი, გეგმა კი 26.000 ჰექტარს ითვალისწინებდა.

მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოხნან 2.000 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ქვანახშირის ამოღების ტემპი ძლიერდება

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ კორ.). საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შედეგად მკვეთრად გაუმჯობესებულ მუშაობა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მთელმა რიგმა შახტებმა. დაწინაურდა მეხუთე შახტის კოლექტივი, რომელმაც ქვანახშირის ამოღების ათი თვის დავალება 15 ოქტომბრისათვის გაანაღდა.

უკეთესად მუშაობენ ქვანახშირის მოპოვებაზე მეორე, მესამე და მეოთხე შახტების კოლექტივები. მესამე შახტის კოლექტივმა საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულება ორმაგად შეასრულა და წლიური გეგმის გადამეტებით 11 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი მისცა ქვეყანას, მეოთხე შახტის კოლექტივმა კი — 20 ათასი ტონა.

მაღალი მაჩვენებლებით ხვდებიან დღესასწაულს ტყვარჩელელი მშენებლებიც. მათ მეშახტეებს უკვე გადასცეს სამი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ახლა მშენებლები მომავალი წლისათვის გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტებზე მუშაობენ.

ჩაი გეგმის გადამეტებით

წალენჯიხა. (საკ. კორ.). წალენჯიხის № 1 ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, უმაღლესი ხარისხის ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების 4 თვის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა, მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, ხოლო თვითღირებულება შეამცირა 4 პროცენტით.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ დამბარისხებელი, საჭკნობი და საგრეხი საამქროები.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება აიღო 7 ნოემბრისათვის სახელმწიფოს მისცეს 600 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება და გასწიოს დიდძალი საწვავისა და ელექტროენერგიის ეკონომია.

„ჭიათურმარგანეცის“ ტრესტმა შეასრულა 10 თვის გეგმა

ჭიათურა, 27 ოქტომბერი. (საქდესი). „ჭიათურმარგანეცის“ ტრესტმა 26 ოქტომბერს შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა. ნოემბრის ანგარიშში უშვებენ მარგანეცს ლენინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა კოლექტივები.

მცხეთის მგს-მა ხვნის წლიური გეგმა შეასრულა

მცხეთის მტს-ის კოლექტივმა 25 ოქტომბრისათვის წლიური საწარმოო დავალება 129 პროცენტით გაანაღდა. ნაცვლად 38 ათასი ჰექტარისა მოხნულია 48.972 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით. დაზოგილია 52 ტონა საწვავი. მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში საშემოდგომო თესვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, ჯვარედინად დათესილია 1.175 ჰექტარი. ამჟამად ტრაქტორები მასობრივად გადაყვანილია მზრალად ხვნაზე, 2.500 ჰექტარიდან მზრალად მოხნულია 1.150 ჰექტარი.

მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს მზრალად ხვნა დაამთავრონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისათვის.

ხიბულის საბჭოთა მეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა შეასრულა

ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 25 ოქტომბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით ნოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბარეს 5 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის 26 ოქტომბრის ცნობებით

რაიონები	ნიორი გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	ნიორი გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმის	106,8	ქუთაისის	76,4
ქობულეთის	100,5	წყალტუბოს	101,9
ქედის	132,5	ტყიბულის	75,7
სულ აჭარაში	102,0	ცხაკაიის	80,7
გალის	97,4	აბაშის	72,8
ოჩამჩირის	98,1	გეგეჭკორის	88,6
გულრიფშის	100,5	ზუგდიდის	95,5
სოხუმის	95,1	წალენჯიხის	102,9
გუდაუთის	99,7	ჩხოროწყუს	94,7
სულ აფხაზეთში	98,0	ხობის	80,9
მახარაძის	97,5	თერჯოლის	53,9
ჩოხატაურის	90,9	ზესტაფონის	74,3
ლანჩხუთის	99,3	სულ საქართველოს სს	
სამტრედიის	68,7		
წულუკიძის	81,1		

შენიშვნა: ჩხოროწყუს რაიონის ცნობები არასრულია.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში

ქუთაისი დღეს

შემოდგომის მიწურულია, მაგრამ ზაფხულის ეშხი ჯერ კიდევ არ განშორებია ქუთაისის ქუჩებს, ბაღებს, ხეივნებს, ბოროწეულისა და ლეღვის ხეებით დაჩრდილულ მწვანით მოსილ ეზოებს. საკოლმეურნეო ბაზრებზე უხვად გამოფენილათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები — საშემოდგომო ხილი, ყურძენი, კომბოსტო, კარტოფილი... მოზდვავებულა ქალაქში სოფლის ბარაქა, სამრეწველო საქონლით სავსე მაღაზიებში მრავალი მყიდველია.

ქუთაისი, ჩვენი განახლებული ქუთაისი, აღარ ჰგავს იმას, რაც წინთ, თუნდაც ამ სამი ათეული წლის წინთ იყო, აღარ ჰგავს უშფოთველ, ყრუ პროვინციულ ქალაქს. ქუთაისმა ახალი ინდუსტრიული, სისხლსავსე კულტურული ცხოვრებით ამაჩქეფარა თავისი ცხოვრება.

არქივში შემონახულია დოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ, რომ 1912 წ. ქუთაისში არსებობდა ვინმე ფირალოვის თამბაქოს პატარა ფაბრიკა, ლიმონათისა და არყის სახდელი პატარა საწარმოები, ბგურ-ცრამიტის ქარხანა და ორი პატარა დიზელიანი ელექტროსადგური, რომელთა ენერგია ახლა მარტო ლენინის პროსპექტის ლამპიონებსაც არ ეყოფოდა.

ახლა მარტო საავტომობილო ქარხანა დღეში იძლევა იმდენ პროდუქციას — გაუმჯობესებული კონსტრუქციის თვითსაცლელ ავტომანქანებს და მის სათადარიგო ნაწილებს, რამდენსაც ქუთაისელი ხელოსნები, ლიმონათის და არყის მხდელები, კონდიტრები, ყველა მაშინდელი საწარმო ერთად აღებული მთელი წლის განმავლობაშიაც ვერ შექმნიდნენ.

მუდამ მშობლიური სიყვარულის გრძნობით მოიგონებენ ქუთაისელი მშრომელები იმას, რომ მათი ქალაქის ინდუსტრიულ აყვავებას საფუძველი ჩაეყარა დიდი რუსი ხალხის მიერ ქართველი ხალხისთვის ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებშივე საჩუქრად გამოგზავნილი მუდის საქსოვი ფაბრიკის ამუშავებით. ამ ფაბრიკას, რომელიც ამუშავების შემდგომ წლებში რეკონსტრუირებულ და გაფართოებულ იქნა, ამას წინათ 30 წელი შეუსრულდა. შემდგომ ხანებში ქუთაისს შემოემატა ათობით დიდი საწარმო — აბრეშუმის ვეებერთელა კომბინატი, საკონსერვო ქარხანა, ლიტოპონის ქარხანა, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკა და სხვა დიდი საწარმოები, მათ შორის მთელი რესპუბლიკის საამაყო საავტომობილო გიგანტი და სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა.

ქუთაისი — ქალაქი-ბაღი, სადაც უმოღვაწია ბრძენი ლენინის უკვდავი საქმის გენიალურ განმგრძობს დიდ სტალინს, სადაც აღიზარდა თანამედროვეობის დიდი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, სადაც უცხოვრია საქართველოს ბულბულს აკაკი წერეთელს, ქალაქი, რომელსაც გადაუტანია ათეულ საუკუნეთა სიმძიმე, ■ დღეს განახლებული და აღორძინებული რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრია.

ინდუსტრიის ზრდამ გამოიწვია ქალაქის ზრდა, კეთილმოწყობილი კვარტალების, ქუჩების, მთელი უბნების გაშენება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალურ დაწესებულებათა და საწარმოთა ქსელის გაფართოება. მხოლოდ რამდენიმე მაჩვენებელი:

მარტო შარმან და წელს ქალაქში მოაასფალტეს 116 ათასი კვადრატული მეტრი ქუჩა და მოედანი, სამი მიმართულებით სეირაგენ ქალაქის ამ ქუჩებს ტროლეიბუსები. აქ მუშაობს რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე თეატრი ლადო მესხიშვილის სახელობისა... 18 ბიბლიოთეკა, 31 საშუალო სკოლა, კულტურისა და დასვენების ორი პარკი, 2 მუსიკალური სასწავლებელი, 6 კლუბი, ორი უმაღლესი სასწავლებელი — პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები ემსახურებიან მშრომელთა ინტერესებს.

დღეს ქუთაისი სამშობლოს აძლევს თვითსაცლელ ავტომობილებს, ეკსკავატორებს, საშახტო მოწყობილობას, აბრეშუმის ქსოვილებს, მაუდს, შესანიშნავ კონსერვს, შეკერილ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, ლიტოპონს, ხილს, ღვინოს... არ გაივლის დიდი დრო, რომ ქუთაისის საწარმოთა რიგში ჩადგებიან ახალი საწარმოები — ავეჯის ფაბრიკა, ღვინის ქარხანა, სატრილეიბუსო მეურნეობის დეპო, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქარხანა, საკონდიტრო ფაბრიკა; ქალაქი დამშვენდება ჰიგიენის სახლით, წიგნის სასახლით, დიდი საბიბლიოთეკო შენობით, ახალი სასტუმროსა და უნივერსალური მაღაზიის მრავალსართულიანი შენობებით, კინოთეატრით...

ახლა კი ქუთაისი დიადი დღესასწაულისათვის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისათვის ახალ მიღწევათა მოპოვებას, მშობლიური კომუნისტური პარტიის საოქტომბრო მოწოდებათა განაღდების სულისკვეთებით ცხოვრობს. საწარმოთა კორპუსებში არ ცხრება ინდუსტრიული ხმაური, ენთუზიაზმით შრომობენ სადღესასწაულო ვახტზე გამოსული სახელოვანი სტახანოველები. სამშობლოს სადიდებელ შრომაში ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება, ერთი საწარმოო უბანი მეორეს, სამმერო — სამმეროს და ქარხანა — მეზობელ ქარხანას.

მათ შორის უკვე დაწინაურდა სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა ათი თვის დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 1 მილიონი მანეთის პროდუქცია.

დღეები გადის, დიადი დღესასწაული ახლოვდება და მოწინავე საწარმოო კოლექტივთა რიგიც იზრდება.

ქუთაისი საოქტომბრო ზეიმისათვის ემზადება.

ბ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ქუთაისი. ლენინის პროსპექტი (მარცხნივ). თვითსაცლელი მანქანებს აწყობა საავტომობილო ქარხნის მთავარ კონვეიერზე. ფოტო რ. მორჩილაძისა და დ. კაკიტელაშვილისა.

კომუნისტური პარტიის სახელოვანი ბრძოლებისა და გამარჯვებების დოკუმენტები

მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა ქართულ ენაზე გამოსცა 1-ლი ნაწილი დოკუმენტების კრებულისა „სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“.

კრებული ქართული თარგმანი შესრულებულია მე-7 რუსული გამოცემიდან, რომელიც სამ ნაწილად გამოვიდა მიმდინარე წელს.

კრებული მოიცავს პერიოდს რსდმპ I ყრილობიდან (1898 წ.) სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმამდე (1954 წ.) ჩათვლით. კრებულში გამოქვეყნებულ პარტიულ დოკუმენტებში განზოგადებულია კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმდიდრესი გამოცდილება, რუსეთის სამი რევოლუციის, მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენების გამოცდილება.

ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი კოლექტიური აზრის, პარტიის კოლექტიური სიბრძნის ნაყოფია. დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა ნეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკაა, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობების მოთხოვნებს და გამოხატავს ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესებს.

კრებული საშუალებას იძლევა ღრმად შეისწავლოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირული ისტორია პირველწყაროებით, უშუალო დოკუმენტებით.

კრებული წარმოადგენს დიდ დამხმარე საშუალებას ჩვენი პარტიული და საბჭოთა კადრებისათვის მათს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

ამ კრებულის გამოცემით ფართოვდება ბაზა საერთოდ თეორიულ-მეცნიერული მუშაობისათვის და კერძოდ პარტიის ისტორიის საკითხების შემდგომი უფრო ღრმა და სრული დამუშავებისათვის.

კრებულში მოთავსებული დოკუმენტები დაეხმარება საზღვარგარეთის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შეისწავლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ამ ავანგარდის — უმდიდრესი გამოცდილება და გამოიყენონ იგი თავიანთ ბრძოლაში შეიდიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

კრებულის ქართულ ენაზე გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისა და მთელი ქართველი ხალხის იდეურ ცხოვრებაში. იგი დიდად შეუწყობს ხელს მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ამაღლებას.

* * *

ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია შექმნა ვ. ი. ლენინმა. ლენინი თავიდანვე იბრძოდა ახალი ტიპის პარტიის, II ინტერნაციონალის ძველი, რეფორმისტული პარტიებისაგან განსხვავებული, რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. ვ. ი. ლენინის მიერ 1895 წლის დასაწყისში შექმნილი „უშუალთა ქლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ ასეთი პარტიის პირველი სერიოზული ჩანასახი იყო.

ერთიანი პარტიის შექმნის პირველი ცდა იყო რსდმპ I ყრილობა, რომლის დოკუმენტებით იხსნება კრებულის პირველი ნაწილი. პირველმა ყრილობამ გამოაცხადა რსდმპ შექმნა, ნაგრამ ფაქტიურად მან ვერ შეძლო პარტიის შექმნა.

ვ. ი. ლენინის თავდადებული ბრძოლა რუსეთში ახალი ტიპის რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის წარმატებით დაგვირგვინდა რსდმპ II ყრილობაზე. II ყრილობის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მან შექმნა რუსეთში ნამდვილად მარქსისტული პარტია. II ყრილობა შემომრუნების პუნქტი იყო ნსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. კრებულში მოთავსებულია II ყრილობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები: რსდმ პარტიის პროგრამა, ლენინის მიერ წარდგენილი წესდება, ყრილობის მიერ მიღებული ორგანიზაციული წესდება და ყრილობის რეზოლუციები. ეს დოკუმენტები გვიჩვენებენ, თუ რა დიდი და პრინციპული ბრძოლები გადაიხადეს ვ. ი. ლენინმა და მისმა მომხრეებმა „ეკონომისტების“, ბუნდელებისა და მენშევიკების წინააღმდეგ, პარტიის რევოლუციური პროგრამისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის იდეისათვის, ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და ინტერნაციონალიზმისათვის.

ყრილობაზე მიღებული პროგრამა მუშათა კლასის პარტიის რევოლუციური პროგრამა იყო, რომელშიც აღიარებული და დასაბუთებულია პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების აუცილებლობა. ყრილობაზე მიღებულ პროგრამით ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტია VIII ყრილობაზე ახალი პროგრამის მიღებამდე.

II ყრილობის შემდეგ ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის კიდევ უფრო გაძლიერდა. მენშევიკებმა ხელთ იგდეს გაზეთი „ისკრა“, აგრეთვე უმრავლესობა ცენტრალურ კომიტეტში და გაიჩაღეს დეზორგანიზატორული მუშაობა. ვ. ი. ლენინი ამ ნდგომარეობიდან გამოსავალს ხედავდა პარტიის III ყრილობის მოწვევაში. კრებულის დოკუმენტები გვიჩვენებენ, თუ რა დიდი მუშაობა გასწიეს ბოლშევიკებმა III ყრილობის მოწვევისათვის.

III ყრილობის ძირითადი რეზოლუციები ვ. ი. ლენინის მიერ არის დაწერილი. რეზოლუციებში: „შეიარაღებული აჯანყების შესახებ“, „დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ“, „მთავრობის ტაქტიკისადმი დამოკიდებულების შესახებ გადატრიალების წინახანს“, „რსდმ პარტიის აშკარა პოლიტიკური გამოსვლის საკითხის შესახებ“, „გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ“ დასახულია პარტიის რევოლუციური ტაქტიკა. რეზოლუციებში განმტკიცებულია ლენინური დებულებები პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ.



III ყრილობამ რეზოლუციაში „პარტიის გამოთიშული ნაწილის შესახებ“ ერთსულოვნად დაგმო მენშევიკების ოპორტუნიზმი, სავსებით მიიწონა ვ. ი. ლენინის ხაზი და მიიღო რსდმ პარტიის ახალი წესდება.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს III ყრილობის მოწვევისათვის. ყრილობას ესწრებოდნენ კავკასიის კავშირის (ბაქოს, ბათუმის, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების) დელეგატები. მოსმენილ იქნა მოხსენება კავკასიაში მდგომარეობის შესახებ და ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო“.

კრებულში მოთავსებული დოკუმენტები, რომლებიც ეხება ბოლშევიკების მუშაობასა და ბრძოლას სტოლიპინის რეაქციის წლებში, ნათლად გვიჩვენებენ, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, შავბნელი რეაქციის წლებში მხოლოდ ბოლშევიკებმა შეინარჩუნეს მარქსიზმის დროშა, ულმობლად ანადგურებდნენ ლიკვიდატორებს, ტროცკისტებს, ოტზოვისტებს და უნარიანად ახამებდნენ არალეგალურ და ლეგალურ მუშაობას.

კრებულში შესულია უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, რომლებიც შეეხება 1912 წელს პრაღაში შემდგარ სრულიად რუსეთის VI პარტიულ კონფერენციას. პრაღის კონფერენციის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან რსდმ პარტიიდან გააძევა მენშევიკ-ლიკვიდატორები და დასაბამი მისცა ბოლშევიკების საბოლოოდ გაფორმებას დამოუკიდებელ პარტიად — რსდმ პარტიად (ბოლშევიკებისა).

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ბოლშევიკების დიდ მუშაობაზე მოგვითხრობენ კრებულის მთელი რიგი დოკუმენტები. ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი — „ომი და რუსეთის სოციალდემოკრატია“ აძლევდა ბოლშევიკებს სწორ ორიენტაციას ომისადმი დამოკიდებულების საკითხში.

დიდი და გადამწყვეტი მუშაობა გასწიეს ბოლშევიკებმა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ოქტომბრის რევოლუციამდე. კრებულის დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ 1917 წლის აპრილში შემდგარმა რსდმ პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე კონფერენციამ, რომლის მთელ მუშაობას საფუძვლად დაედო ლენინის ცნობილი „აპრილის თეზისები“, განსაზღვრა პარტიის ხაზი ომისა და რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში და მიმართულება ნისცა პარტიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის საბრძოლველად. პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ და გაიჩაღა ბრძოლა მის განსახორციელებლად მასების მობილიზაციისა და დარაზმვისათვის.

კონფერენციამ ამხილა მენშევიკებისა და ესერების გამცემლური პოლიტიკა, კამენევის, ზინოვიევის, პიატაკოვის, ბუხარინის ოპორტუნისტული ხაზი და ერთსულოვნად გაჰყვა ლენინს.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის VI ყრილობას. ეს ყრილობა ოქტომბრის რევოლუციის მომზადების ყრილობა იყო. მან ლენინის სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით ჩაიარა. ი. ბ. სტალინის მიერ წარდგენილ რეზოლუციაში „პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“ წამოყენებული იყო შეიარაღებული აჯანყების, რევოლუციის ამოცანა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „სწორი ლოზუნგი ამჟამად შეიძლება იყოს მხოლოდ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დიქტატურის სრული ლიკვიდაცია“, „რევოლუციური კლასების ამოცანა იქნება მთელი ძალების დაძაბვა სახელმწიფო ძალაუფლების საკუთარ ხელში ასაღებად და წარსამართავად“ (გვ. 477-478). ყრილობის რეზოლუციებში განსაკუთრებული ძალით იყო ხაზგასმული დებულება მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის კავშირის, როგორც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებელი პირობის შესახებ.

კრებულში მოთავსებულია რეზოლუციები რსდმ პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 და 16 ოქტომბრის ისტორიული სხდომებისა, რომლებმაც უკვე პრაქტიკულად დააყენეს შეიარაღებული აჯანყებისა და ხელისუფლების დაპყრობის საკითხი, როგორც სავსებით მომწიფებული და სრულიად აუცილებელი საკითხი და წინადადება მისცეს პარტიულ ორგანიზაციებს ეხელმძღვანელათ ამ თვალსაზრისით.

პარტიამ მოამზადა და უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რომლითაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენი პარტია გადაიქცა მმართველ პარტიად.

კრებულში მოთავსებული დოკუმენტები გვიჩვენებენ, თუ რა გიგანტური მუშაობა გასწია ჩვენმა პარტიამ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. ამ ახალ პირობებში ახალი ამოცანებისათვის ბრძოლაში პარტია ხელმძღვანელობდა სოციალისტური მშენებლობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით, რომელიც იყო შემუშავებული ლენინის მიერ.

უმნიშვნელოვანესი საქმე იყო ქვეყნის გამოყვანა იმპერიალისტური ომიდან. პარტიის VII ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ომისა და ზავის შესახებ, მოიწონა ლენინის ხაზი ბრესტის ზავის საკითხში და საშუალება მისცა პარტიას მოეგო დრო, შეექმნა წითელი არმია და განმტკიცებინა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

პარტიის VIII ყრილობა მიმდინარეობდა სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დღეებში (1919 წ. მარტი). ყრილობის დადგენილებებმა სამხედრო საკითხებზე ხელი შეუწყო წითელი არმიის განმტკიცებას. ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელმაც განსაზღვრა პარტიის პოლიტიკა გლეხობისა და ეროვნულ საკითხში. განსაზღვრულ იქნა ახალი ხაზი საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში. პარტია საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პოლიტიკიდან გადავიდა საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის პოლიტიკაზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ეკონომიური, სახელმწიფოებრივი და პარტიული მშენებლობის საკითხებში ახალი ხაზი მოგვცა პარტიის X ყრილობამ. ლენინის წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე — ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე (ნეპი) გადასვლის შესახებ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით მუშათა კლასსა და გლეხობას შორის დამყარდა ეკონომიური კავშირი. ნეპის შემოღებამ მძლავრი სტიმული მისცა გლეხური მეურნეობის განვითარებას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ლენინის წინადადებით ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას „პარტიის ერთიანობის შესახებ“. ყრილობამ მიგვითითა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე და მოითხოვა, რომ საერთო პარტიული გადაწყვეტილებანი ყოველთვის შემუშავებული ყოფილიყო კოლექტიურად.

სახალხო მეურნეობის აღდგენის დასასრულს მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ბედის შესახებ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით უკუაგდო ყოველგვარი მემარჯვენე-ტროცკისტული კაპიტულანტური თეორიები, მტკიცედ დაიცვა სოციალიზმის აშენების ლენინური მოძღვრება და გადაჭრით აიღო კურსი საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენებისაკენ. სოციალიზმის აშენების ეს კურსი პარტიის XIV კონფერენციამ მიიღო როგორც პარტიის კანონი, როგორც ყველა კომუნისტისათვის სავალდებულო კანონი.

კრებულში ფართოდ არის წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებშიც უდიდესი სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით განსაზღვრულია პარტიის ამოცანები, გზები და მეთოდები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში.

XIV ყრილობის (1925 წ.) და XV ყრილობის (1927 წ.) ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიამ მოახდინა ხალხის მთელი ძალების მობილიზაცია, გამოძებნა მატერიალური რესურსები და წყაროები და წარმატებით განახორციელა უდიდესი ისტორიული ამოცანა — ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი და აგრარული ქვეყნიდან გადაქცეულ იქნა უმსხვილეს ინდუსტრიულ ქვეყნად, მსოფლიოში ყველაზე მსხვილი, მექანიზებული, კოლექტიური სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგად არაჩვეულებრივად ამაღლდა ვშრომელთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების პირობები.

ხუთწლედების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა უღრმესი კულტურული რევოლუცია, შეიქმნა ახალი, სოციალისტური ინტელიგენცია, რომელიც სისხლხორცეულად დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებთან. გაიფურჩქნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, მთელ მსოფლიოში ყველაზე იდეური და ყველაზე პროგრესული კულტურა.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოისპო ყოველგვარი ექსპლოატატორული კლასები და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, გაიშალა საბჭოთა საზოგადოების ახალი მძლავრი მამოძრავებელი ძალები: მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა ურღვევი ძეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი.

საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობამ, შეაჯამა რა შედეგები პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომისა სოციალიზმისათვის, დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ნეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

კრებულში პირველად არის შეტანილი საკავშირო კპ (ბ) XVIII კონფერენციის (1941 წ. თებერვალი) გადაწყვეტილებანი, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ტემპების ამაღლების, მრეწველობისა და ტრანსპორტისადმი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაძლიერებისა და აქტიური თავდაცვისათვის ჩვენი ქვეყნის მოსამზადებლად ბრძოლის საქმეში.

დიდი სამამულო ომის დღეებში პარტიამ დარაზმა მთელი საბჭოთა ხალხი გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მოახდინა ჩვენი ქვეყნის რესურსების მობილიზაცია და უზრუნველყო მტრის განადგურება.

პარტიის XIX ყრილობამ, შეაჯამა რა საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების შედეგები, დასახა პარტიის საამოქმედო პროგრამა განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ყრილობაზე მიღებულ პარტიის ახალ წესდებაში კონკრეტულად არის განსაზღვრული კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები.

XIX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საქმეს და გაამახვილა ამ მხრივ პარტიული ორგანიზაციების ყურადღება.

კრებულში მოთავსებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილება, რომლითაც დასახულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მკვეთრი ამაღლების უდიდესი პროგრამა. ეს დადგენილება წარმოადგენს საბჭოთა ხალხის სულ უფრო მზარდ მატერიალურ-კულტურული მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის პარტიის განუწყვეტელი ზრუნვის თვალსაჩინო მაგალითს.

1954 წელს სამ ნაწილად გამოსულ კრებულში, ამავე — მე-7 გამოცემის 1953 წელს 2 ნაწილად გამოსულ კრებულისაგან განსხვავებით, დამატებით შეტანილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკვე მოიპოვა პირველი დიდი წარმატებანი ამ დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

კრებულში შეტანილია მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები იდეურ-თეორიული და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებზე, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ იდეოლოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობისათვის.

დოკუმენტების კრებული „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“ უმდიდრეს მასალას იძლევა ჩვენი დიადი პარტიის უაღრესად მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა საკითხზე.

საჭირო და სასარგებლო იქნება ფართოდ მოვაწყოთ ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების პროპაგანდა, მისი ზეჯითად შესწავლა.

ვ. ესაიაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ ბრძოლა კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ

რამდენიმე ხნის წინათ ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა საცხოვრებლის კომენდანტმა კომუნისტმა შ. ბერიძემ მღვიმევის მონასტერში მონათლა ამავე მაღაროს ელმავლის მემანქანე, პარტიის წევრობის კანდიდატი ჯ. მეგრელი.

ბერიძისა და მეგრელის ასეთი დასაგმობი და უცნაური საქციელი მაღაროელ კომუნისტთა მსჯელობის საგანი გახდა. ისინი სასტიკად გაკიცხეს და მკაცრად დაისაჯნენ. ეს შემთხვევა მაღაროში სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო პროპაგანდის სუსტად დაყენებაზე მეტყველებს.

კომუნისტი ვ. კურტანიძე ადრე სტალინის სახელობის მაღაროში მუშაობდა. იგი უბანს განაგებდა და ცუდ მუშაკად როდი ითვლებოდა. მაგრამ მან ხელი მიჰყო ალკოჰოლიანი სასმელების გადაჭარბებულ სმას. ეს უდავოდ მოქმედებდა მის ორგანიზმზე, უბნის ნორმალურ მუშაობაზე. ვ. კურტანიძეს ბევრჯერ ამხანაგურად ურჩიეს ლოთობა მიეტოვებინა, მაგრამ მეგობრულ სასარგებლო რჩევას მან ყური არ უგდო და გაგრძელდა ღვინის უზომო სმა. ხშირად მთვრალი ცხადდებოდა სამუშაოზე, უბანი კი დავალებას ვერ ასრულებდა. ამიტომ იყო, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა ვ. კურტანიძის არაკომუნისტურ მოქმედებაზე და მას საყვედური გამოუცხადა, ხოლო დირექციამ ცვლის უფროსად ჩამოაყენა.

კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთები უფრო მკაფიოდ გამოვლინდა კომუნისტ შ. გაფრინდაშვილის მოქმედებაში. იგი ცვლის უფროსად მუშაობდა მეექვსე უბანში. მან ხელი მიჰყო სპირტიანი სასმელების გადაჭარბებულ სმას, არღვევდა საწარმოო და ტექნიკურ დისციპლინას. ლოთობისათვის შ. გაფრინდაშვილს ფული ესაჭიროებოდა. ამიტომ მან მიმართა საბჭოთა ადამიანისათვის დასაგმობ და შეუფერებელ საქციელს — წამგლეჯობას, დაიწყო თვალთმაქცობით მეტი თანხის მიღება. მიმდინარე წლის აპრილში შ. გაფრინდაშვილმა საწყობიდან 1.313 ბიგი მიიღო, ხოლო ცვლის მოხსენებითს ბარათში მებიგეებისაგან დადგმული უჩვენა 1.977 ბიგი. ამრიგად, ზედმეტად მიაწერა მაღაროში 664 ცალი ბიგის დადგმა და წარმოებას 3.527 მანეთი წაგლეჯა. პარტორგანიზაციამ შ. გაფრინდაშვილს საყვედური გამოუცხადა საარრიცხვო ბარათში შეტანით, დირექციამ კი სამუშაოდან მოხსნა.

ამ მოკლე კორესპონდენციაში ზოგიერთი კომუნისტის ამორალური მოქმედების მხოლოდ რამდენიმე ფაქტი დავასახელეთ. მაგრამ მაღაროში კიდევ ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან მავნე და ჩვენი წინსვლის შემაფერხებელი ტრადიციებისაგან. ზოგიერთისათვის შრომა ჯერ კიდევ არ გამხდარა უპირველეს საზოგადოებრივ მოვალეობად, თავს არიდებს პატიოსან საქმიანობას, ცდილობს ცოტა იმუშაოს და წარმოებას მეტი უგულოჯოს. ზოგი კვლავ გადაჭარბებით სვამს მაგარ სასმელებს, რასაც თან სდევს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ყოფაცხოვრებაში თავდაუჭერლობა, ხულიგნობა. ვხვდებით მლიქნელებს, თვალთმაქცებსა და ცილისმწამებლებს. ზოგიერთი ვერ იჩენს პირდაპირობას, ვერ იტანს ქვევიდან მომდინარე სამართლიან კრიტიკას. ზოგიერთი კვლავ ცდილობს თანამდებობა ბოროტად გამოიყენოს, ზედმეტი მიწერებით სახელმწიფოს თანხები წაგლეჯოს. კაპიტალიზმის ამ მავნე გადმონაშთების ყოველგვარ გამოვლინებას დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ.

უკანასკნელად მაღაროს პარტიულმა კომიტეტმა და საუბნო პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაღაროელებს ექიმებმა პ. ფხალაძემ და ვ. მოსიაშვილმა წაუკითხეს ლექციები თემაზე — „ალკოჰოლიზმი შეუფერებელია კომუნისტური მორალის პრინციპებთან“, „ალკოჰოლის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე“. მოეწყო აგრეთვე ლექცია-მოხსენებები თემებზე — „ვატიკანი საერთაშორისო რეაქციის სამსახურში“, „ბრძოლა კაპიტალიზმის გადმონაშთებთან და მშრომელთა კომუნისტური აღზრდა“, „შრომის მტკიცე დისციპლინა წარმატების მოპოვების აუცილებელი პირობაა“, „ლენინი და სტალინი სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ და სხვ.

აგიტკოლექტივების უკანასკნელი მეცადინეობები მიეძღვნა საკითხებს — აგიტატორთა ამოცანები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, ალკოჰოლიზმი წარსულის მავნე გადმონაშთია, როგორ სჯის საბჭოთა კანონი შრომის დისციპლინის დამრღვევთ და სხვ. აგიტატორები ი. ბაირამაშვილი, ბ. კუპატაძე, გ. ჩაჩანიძე, ა. ნასარიძე, ს. ნეფარიძე და სხვები შინაარსიან საუბრებს აწყობენ კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, თუმცა მათ მეტი კონკრეტულობა მოეთხოვებათ.

კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს თანმიმდევრულ, მოფიქრებულ და ყოველდღიურ მუშაობას. მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ არ უნდა დაუშვას კამპანიურობა ამ საქმეში.

პ. ჯიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

აგიტატორი ვალენტინა ტუღუში

ამ ორიოდე წლის წინათ, პარტიული ორგანიზაციის დავალებით, კომუნისტი ვალენტინა ტუღუში, როგორც აგიტატორი, პირველად გამოცხადდა მოსკოვის ქუჩაზე № 25 სახლში. ერთ-ერთმა დიასახლისმა ჯერ ახედ-დახედა მოსულს, მერე კი ასე მიმართა:

— დროგამოშვებით თუ გამოიცვლით, საკმარისია. საუბრის გამართვა აუცილებელი არ არის. დაგიდასტურებთ, რომ იყავით და გვესაუბრეთ. მომეცით თუ გაქვთ რვეული, ახლაც მოგიწერთ ხელს...

— ასე არ შეიძლება, ამხანაგო, — უპასუხა სახტად დარჩენილმა ტუღუშმა, — ვის რათ უნდა ქაღალდი?..

ვალენტინა ტუღუშმა იმ დღესვე გამართა საუბარი. აგიტატორმა პირველი წუთებიდანვე მიიპყრო დიასახლის ქალთა ყურადღება. ნათელი, გასაგები იყო თვითეული წინადადება. ბევრი რამ გაიგეს ახალი. იგრძნობოდა, რომ ვ. ტუღუში არაფრით არ ჰგავდა წინანდელ აგიტატორს, რომელიც, თუ გამოცხადდებოდა, მხოლოდ გაზეთს წაიკითხავდა.

ვ. ტუღუში მგზნებარე აგიტაციას ეწევა 1952 წლის დეკემბრიდან. იგი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით და სიყვარულით ასრულებს თავის მოვალეობას. ახლა ვ. ტუღუშს საუბარს ესწრებიან ამ სახლში მცხოვრები, საბჭოთა დაწესებულებებში მომუშავე ქალებიც.

* * *

შემოდგომის თბილი დღეა. თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე ოცდამეხუთე სახლის ერთ-ერთ ოთახში თავი მოუყრიათ დიასახლისებს. მაგიდაზე გადაშლილია გაზეთები. დაბალ ხმაზე ჩართულია რადიომიმღები.

— მოვიდა! არ შეიძლება თუნდაც ერთი წუთი დაიგვიანოს, — თქვა სონია მღებრიანამ და აიენის კარებშივე მიეგება მოსულს.

დიასახლისები ვალენტინა ტუღუშს ისე შეეგებნენ, როგორც თავიანთ ახლო მეგობარს. ოთახში მყუდროება ჩამოვარდა. ვალენტინას გადაწყვეტილი ჰქონდა გაემართა საუბარი დედამიწის წარმოშობის შესახებ. იგი დიასახლისებს ელაპარაკა იმაზე, თუ რა წარმოდგენა არსებობდა სამყაროს შესახებ კაცობრიობის შეგნებული ცხოვრების განთიადზე, როგორ ხსნიან მეცნიერები დედამიწის წარმოშობას. საუბრის დროს მან მოხერხებულად გამოიყენა პროფესორ მ. სუბოტინის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი „დედამიწის წარმოშობა და მისი ასაკი“.

როცა საუბარი დასრულდა, დიასახლისებისათვის ნათელი გახდა ბევრი ბუნდოვანი და გაურკვეველი საკითხი. შემოვიდა შეკითხვები.

ოთახიდან გასვლის წინ ივლიტა მჭედლიშვილი შეეკითხა აგიტატორს:

— ამხანაგო ვალია, მორიგი შეხვედრისას რა თემაზე გექნებათ საუბარი?

— ვინაიდან ამ ეზოში მცხოვრებ ქალთაგან ბევრია მოსწავლისა და სტუდენტის დედა, ვისაუბრებ ახალგაზრდობის კომუნისტური მორალის, მაღალი ზნეობის სულისკვეთებით აღზრდის საკითხებზე.

* * *

ამას წინათ ვალენტინა ტუღუში საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში ეცნობოდა საჭირო მასალებს.

— გართულდა და უფრო საინტერესო გახდა მუშაობა, — თქვა მან, — დიდად ამაღლდა ჩვენში ქალის კულტურული დონე. ახლა ყველა დიასახლისი კითხულობს გაზეთს, ისმენს რადიოგადაცემას. ამიტომ მან წინასწარ თითქმის ყველაფერი იცის იმის შესახებ, რაზეც უნდა მოუთხროს აგიტატორმა და საუბარი მოსაწყენი რომ არ იყოს, ჩვენ, აგიტატორები, გაკილებით მეტ მასალას უნდა გავეცნოთ.

ვ. ტუღუში იმ მოწინავე აგიტატორთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ბევრს მუშაობენ არა მარტო იმიტომ, რომ დავალებაა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია ან რაიკომი ანგარიშს მოითხოვს, არამედ იმის გამო, რომ საქმისადმი სიყვარული ამოქმედებთ. ვ. ტუღუშს ხშირად ნახავთ საჯარო ბიბლიოთეკაშიც. იგი ისე ბეჯითად ემზადება თვითეული საუბრისათვის, თითქოს საჯარო ლექციის წაკითხვას აპირებდეს. გამოწერილი აქვს მრავალი ჟურნალი და გაზეთი („პრავდა“, „კომუნისტი“, „ნოვი მირ“, „მნათობი“, „დროშა“, „კროკოდილი“, „ნიანგი“). მის ბიბლიოთეკაში დიდძალი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურაა.

ვალენტინა ტუღუში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ერთ-ერთი მოწინავე აგიტატორია. იგი რამდენიმე საათს მუშაობს 30-წუთიანი საუბრის მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად და მხოლოდ ამის შემდეგ გაემართება მოსკოვის ქუჩის ოცდამეხუთე სახლისაკენ.

შ. შენგელი.

მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის

ქედის რაიონში ვაზის კულტურა ფართოდ რომ ყოფილა გავრცელებული ამას ის ფაქტებიც მოწმობს, რომ უკანასკნელ წლებში ახოს, მერისის, წონიარისის, კვაშტისა და სხვა სოფლების ტერიტორიაზე აღმოჩენილია მრავალი ქვევრი. თვითეული მათგანის ტევადობა 10-დან 60 ფუთს შეადგენს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი აქ ვაზის კულტურის განვითარება.

პარტიის რაიკომი და პირველადი ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ვენახის მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების საქმეს. შარშან გაზაფხულზე მოწვეულ იქნა მევენახეთა სპეციალური თათბირი. ეს საკითხი იმავე პერიოდში პარტიის რაიკომის პლენუმის მსჯელობის საგანი გახდა. ღონისძიებებმა და ნოწინავეთა გამოცდილების დანერგვამ ხელი შეუწყო მოსავლიანობის ზრდას.

შარშან რაიონში ვენახის თვითეულ ჰექტარზე 58,1 ცენტნერი ყურძენი იქნა მიღებული გეგმით გათვალისწინებული 54 ცენტნერის ნაცვლად. სოფელ ახოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ნერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა ახმედ ნაკაშიძემ რგოლისათვის მოსავლელად მიჩენილი 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 125 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ა. ნაკაშიძე 1953 წლის შედეგებით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ნონაწილე გახდა. მაღალი მოსავალი მიიღო აგრეთვე რგოლმა, რომელსაც უ. თავდგირიძე ხელმძღვანელობს.

წელს რაიონში დამატებით 20 ჰექტარი ვენახი გადაიყვანეს შპალერზე. ეს საშუალებას იძლევა მოეწყოს ორმხრივი გასხვლა, ანასთან გაადვილებულია ვენახის დამუშავება, მწვანე ოპერაციებისა და წამლობის შესრულება.

ჰავის პირობები კარგად უწყობს ხელს ვენახის განვითარებას. განსაკუთრებით გამოირჩევა სოფელ ქედის ყურძენი თავისი არომატითა და შაქრიანობით. წელს ზევრგან ყურძნის შაქრიანობა 23-25 პროცენტს აღწევს, ეს იძლევა კარგი ხარისხის ღვინის დამზადების საშუალებას.

რაიონში ძირითადად გავრცელებულია ცოლიკოური, ჩხავერი და სხვ. ეს ჯიშები კარგად ხარობენ და საუკეთესო მოსავალსაც იძლევიან.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან კოლმეურნეობებში მევენახეობის განვითარების საქმეს. წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგები ახლა ჯამდება. კოლმეურნეობებში მასობრივად დაიწყო რთველი. სოფელ ახოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თვითეულ ჰექტარ ვენახში 100 ცენტნერზე ნეტი ყურძენია მიღებული, ქედის მე-19 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში — 80 ცენტნერი, სოციალისტური შრომის გმირს, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის № 2 რგოლის ხელმძღვანელს ა. ნაკაშიძეს ვალდებულება აქვს აღებული საშუალოდ ჰექტარზე 130 ცენტნერი ყურძენი მიიღოს. სოფელ ცხმორისის ეხგელსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ბ. ძნელაძე ჰექტარზე 120 ცენტნერ ყურძენს იღებს.

კიროვის სახელობის, მე-19 პარტყრილობის სახელობის და წონიარისის კოლმეურნეობებში გამოცდილი მევენეები არიან. ნათ მიერ დაყენებული ღვინო მაღალი ხარისხისაა. მაგრამ ღვინის დამზადების საკითხს ყველგან როდი ექცევა ჯეროვანი ყურადღება. მაგალითად, მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში უნდა ჰქონდეთ 35 ტონის ტევადობის ღვინის ჭურჭელი, ადგილზე მხოლოდ 25 ტონის ტევადობისა აქვთ. არსებული ჭურჭელიც მთლიანად არ არის მომზადებული.

წელს რაიონის კოლმეურნეობებში 20 ჰექტარი ახალი ვენახები გაშენდა. 1955-56 წლებში 70 ჰექტარი უნდა გაშენდეს. ეს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან დიდ მუშაობას მოითხოვს. ნიადაგის მომზადებასთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნას ნერგით უზრუნველყოფის საკითხი. ეს საქმე ბათუმის სანერგე მეურნეობას აქვს დავალებული.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციას მევენახეობის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი. მარქსის, კალინინის, პარიზის კომუნისა და ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ იბრძვიან ყურძნის მოსავლიანობის ზრდისათვის. აქ შარშან ჰექტარზე მხოლოდ 20-30 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს. წელსაც აქ მიღებული მოსავლის დონე რაიონის საშუალო მოსავლიანობაზე დაბალია. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული კოლმეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა და გამგეობებმა. წელს რამდენიმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე და კოლმეურნე, მათ შორის მევენახე კოლმეურნე იყო მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მათ ზევრი რამ ახალი ნახეს მევენახეობის დარგში, ნახეს უხვი მოსავლის ოსტატთა მაჩვენებლები და ის საშუალებანი, რომლებითაც მიაღწიეს მოსავლიანობის ზრდას. გამოფენაზე მიღებულ გამოცდილებას კარგად იყენებენ თავიანთ მუშაობაში გამოფენის ექსკურსანტები კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ჯ. ზერიძე ა. თურმანიძე, ს. საფარიძე, ზ. ცინცაძე. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ კოლმეურნეობები, ბრიგადები და რგოლები მიმდინარე წლის შედეგებით 1955 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ნონაწილენი გახდნენ.

ქედის რაიონის პარტიული ორგანიზაცია გამოასწორებს ნაკლოვანებებს მუშაობაში და იბრძოლებს მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ვ. კიკვაძე,
საქართველოს კპ ქედის რაიკომის მდივანი.

ქარხნის პარტიული ბიბლიოთეკა

ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში ორგანიზებულად დაიწყო და მიმდინარეობს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. აქ შექმნილია რვა პოლიტსკოლა და წრე. მათში გაერთიანებულია 181 კომუნისტი. წრეებისა და პოლიტსკოლებისათვის შერჩეული არიან გამოცდილი პროპაგანდისტები: გ. კაჭკაჭიშვილი, გ. მარიამული, ლ. ზაქსი, დ. აბუთიძე, გ. ცომაია და სხვები. წრეებისათვის სამეცადინოდ შერჩეულია ნათელი ბინები.

პოლიტსკოლებისა და წრეების რიცხვის შემცირების პარალელურად გაიზარდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რაოდენობა. თუ შარშან წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობდა 49 კომუნისტი, წელს ამ რიცხვმა 243-ს მიაღწია.

ქარხნის პარტიულ ბიბლიოთეკაში ყველა პირობაა იმისათვის, რომ ჩვენი კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიო აქტივი წარმატებით ეუფლებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმს.

დღეისათვის ბიბლიოთეკის ფონდში 13 ათასამდე წიგნია. დღითიდღე იზრდება მკითხველთა რაოდენობა. ბიბლიოთეკას აქვს ნათელი და ფართო სამკითხველო დარბაზი. დარბაზში მოწყობილია სხვადასხვა სახის ლიტერატურის მოძრავი გამოფენები.

გადაჭრით გაუმჯობესდა პარტიულ ბიბლიოთეკასთან პოლიტიკურ მომხსენებელთა ჯგუფის მუშაობა, ხშირად ეწყობა ახლად მომზადებულ მოხსენებათა განხილვა. სამკროებსა და განყოფილებებში იკითხება მოხსენებები აქტუალურ თემებზე.

დიდი ყურადღება ექცევა კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას.

ქარხნის პარტიული ბიბლიოთეკა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შეასრულოს დაკისრებული პასუხსაგები მოვალეობა — იყოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ნამდვილი კერა.

გ. გელაშვილი,
სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული ბიბლიოთეკის გამგე.

• • •

სურათზე: სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიულ ბიბლიოთეკაში მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ მუშაკთა ჯგუფი. წინა პლანზე: სატენდერო საამქროს საწარმოო უბნის უფროსი დ. სამხარაძე (მარცხნივ) და კადრების განყოფილების ინჟინერი ვ. გალკინ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მხატვრული თვითმოქმედების საოლქო დათვალიერება

სტალინირი. (საკ. კორ.). სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის შენობაში ორ დღეს მიმდინარეობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება.

დათვალიერება გახსნა ჯავის რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედმა ანსამბლმა, რომელსაც ვ. ქუმარიტოვი ხელმძღვანელობს. ანსამბლში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოცეკვეთა ჯგუფი. მოცეკვეებმა საუკეთესოდ შეასრულეს ოსური ხალხური მასობრივი ცეკვა „სიმდი“. დაბა ქვაისის სიმებიანმა ორკესტრმა ოსტატურად შეასრულა ოსური ხალხური სიმღერა „დადი“.

სტალინირის რაიონის ჭსუისის სასოფლო კლუბის მომღერალთა გუნდმა კარგად შეასრულა ქართული სიმღერა „თუშური სატრფიალო“. სცენაზე ფართო და მრავალფეროვანი პროგრამით გამოვიდა ზნაურის რაიონის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი ა. დესაძის ხელმძღვანელობით.

დათვალიერებაზე მრავალი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი წარადგინა ლენინგორის რაიონმა. ნაგომევის, სალბიერის, წორქოლისა და ლარგვისის სასოფლო კლუბებთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივები კოლმეურნეთა და სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობით კარგად ასრულებენ ქართულ და ოსურ სიმღერებსა და ცეკვებს.

წარმატება ხვდა სტალინირის მასწავლებელთა სახლის მომღერალთა გუნდს, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ვ. კასრაძე ხელმძღვანელობს. ფართო პროგრამით და კარგად მომზადებული გამოვიდნენ სტალინირის სამხატვრო სასწავლებლისა და პედაგოგიური ინსტიტუტის თვითმოქმედი წრეები.

დათვალიერების დასასრულს მაყურებლის წინაშე წარსდგა ქ. სტალინირის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. განსაკუთრებით კარგი იყო ოსური მასობრივი ცეკვები. ოსურ ცეკვას „დინჯი ცეკვა“ შესანიშნავად ასრულებს ანსამბლის ხელმძღვანელი გიორგი თედეევი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც საოლქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას, ისე რაიონულ განყოფილებებს სუსტად უმუშავნიათ სახვითი ხელოვნების ნიმუშების შეგროვებაზე. დათვალიერებაზე წარმოდგენილი არ იყო ფერწერა, ქანდაკება, ქარგულობა, ჭედურობა.

საფრანგეთის აკადემიის წევრს, ქ. ღიონის მერს ღოქვორ ედუარ ერიოს

საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 30 წლისთავთან დაკავშირებით ნება გვიბოძეთ მოგიძღვნათ თქვენ, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის ერთ-ერთ ინიციატორს, ჩვენი გულწრფელი სალამი.

ოცდაათი წლის წინათ თქვენ იბრძოდით სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის დამყარებისა და განვითარებისათვის, სრული საფუძვლით ფიქრობდით რა, რომ თანამშრომლობა ყველა ქვეყანას შორის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა, შეესაბამება ხალხთა ძირეულ ინტერესებს და საჭიროა საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფისათვის. სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში.

საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილია თქვენი სახელი, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწისა, რომელმაც მთელი სიცოცხლე მოახმარა თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვას, მისი უშიშროებისათვის ზრუნვას და საფრანგეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს, როლს საერთაშორისო ასპარეზზე. თქვენ სამართლიანად ხედავდით, თუ რა სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს ევროპის ხალხებისა და მათ შორის საფრანგეთის ხალხისათვის გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება. ევროპის ხალხებმა და ქვეყნებმა ბ. ევროპის საფუძველს თქვენ ხედავდით ევროპის ყველა ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობაში და, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობის განმტკიცებაში ევროპის მშვიდობის დაცვის საქმეში.

თქვენი გამოსვლები სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობის სასარგებლოდ საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის მუდამ პოვებენ ცოცხალ გამოხმაურებას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო წრეებში.

გიძღვნით ჩვენს გულწრფელ სალამს და გისურვებთ ჯანმრთელობას შემდგომი მოღვაწეობისათვის ფრანგ და მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა საკეთილდღეოდ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები:

ა. ვოლკოვი — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ლაცისი — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე
მ. სუსლოვი — კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე
დ. შეკლეანოვი — ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე
მ. იასნოვი — მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე
ა. ნესმეიანოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.
დ. სკობელცინი
ი. ერენბურგი
ნ. ტიხონოვი.

კომუნიკე

საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის სესიის შესახებ

ამ დღეებში მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-გერმანიის კომისიის მესამე სესიამ.

სესიაზე განხილულ იქნა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხები.

ოქმის შესაბამისად, რომელსაც ხელი მოაწერეს მხარეებმა, საბჭოთა კავშირი 1954-1955 წლებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას გადასცემს ტექნიკურ დოკუმენტაციას ზოგიერთი სახეობის მეტალურგიული მოწყობილობისა და ახალი ტიპების სასოფლო-სამეურნეო მანქანების დასამზადებლად, მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების აღწერილობას.

საბჭოთა კავშირი აგრეთვე მიიღებს გერმანელ სპეციალისტებს, რათა გააცნოს მათ სსრ კავშირის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიღწევები და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიავლენს საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფს, რათა ტექნიკური დახმარება და კონსულტაცია გაუწიოს საგლინავი მოწყობილობის დაპროექტებაში, მადნის აგლომერაციის მეთოდების დამუშავებაში, საცხები ზეთების წარმოებასა და სხვა საკითხებში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავის მხრივ საბჭოთა კავშირს გადასცემს ტექნიკურ დოკუმენტაციას ცალკეული ტიპების ლითონდამამუშავებელი ჩარხების, ქვანახშირის, მანქანათმშენებელი და კვების მრეწველობის მოწყობილობის დასამზადებლად. გადასცემს აგრეთვე ზოგიერთი ქიმიური პროდუქტის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიის დოკუმენტაციას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფს გააცნობს ტექნიკურ მიღწევებს სამთამადნო, მანქანათმშენებელი, მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგში.

იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც საფუძვლად დაედო მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას, მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების გაწევა, აგრეთვე ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემა უსასყიდლოდ ხორციელდება.

კულტურის რაიონული სახლი

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავენ მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ყოველწლიურად ფართოვდება კულტურის სახლების, კლუბების, სოფლის სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების ქსელი. სახელმწიფო ბიუჯეტი დიდ სახსრებს ითვალისწინებს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური საბჭოთა კულტურის განვითარებისათვის.

მაღალი კულტურისა და ცოდნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა კულტურის რაიონული სახლი. იგი სახელმწიფო საკლუბო დაწესებულებაა, რომელიც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა რაიონული ცენტრისა და სოფლის მოსახლეობაში. მთელი მისი საქმიანობა ხელს უნდა უწყობდეს მშრომელთა ფართო მასების კულტურული დონის ამაღლებას, მშრომელთა აღზრდას ლენინ-სტალინის დიადი იდეების სულისკვეთებით.

გორის, თელავის, ზორჯომის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ცხინვალის, ლანჩხუთის, ზოლნისის და სხვა რაიონებში კულტურის ბევრმა სახლმა ფართო პოპულარობა ნოიპოვა მოსახლეობაში. აქ მუშაობენ მხატვრული თვითმოქმედებისა და ლიტერატურულ-საგანმბრივი წრეები; როგორც რაიონების ცენტრებში, ისე სოფლად ეწყობა საღამო-წარმოდგენები და კონცერტები, იკითხება ლექციები და საუბრები, უჩვენებენ კინოსურათებს და სხვ. მაგრამ ამავე დროს ამ კულტურის სახლების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

გორის რაიონის კულტურის სახლის საკმაოდ დიდი დარბაზი უკავია სახალხო სასამართლოს, რაც ხელს უშლის კულტურის სახლის მუშაობას. მაგრამ დღემდე არც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და არც ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს არ მიუღიათ საჭირო ზომები კულტურის სახლიდან სახალხო სასამართლოს სხვა შესაფერ შენობაში გადაყვანისათვის. კაჭრეთისა და თერჯოლის რაიონების კულტურის სახლებს შესაფერისი ბინები არა აქვთ. ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია მასობრივ ღონისძიებათა მოწყობა.

ზოგიერთი კულტურის სახლი, როგორც, მაგალითად, აბაშისა და ასპინძის კულტურის სახლები, სხვა მიზეზებთან ერთად იმიტომ მუშაობენ სუსტად, რომ აქტივს არ ეყრდნობიან. ამ კულტურის სახლების ხელმძღვანელებს არ ესმით თავიანთი ძირითადი ამოცანები, იჩენენ მასობრივი მუშაობის შეუფასებლობას, სოფლის კლუბებსა და სოფლის სამკითხველოებს ვერ უწევენ პრაქტიკულ-მეთოდურ დახმარებას, არა აქვთ ახლის გრძნობა და ინიციატივის უნარი.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად განუხრელად ხორციელდება დიდი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ ყველა მშრომელი კულტურული და განათლებული გავხადოთ. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად იზრდება კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კულტურული მოთხოვნილებანი, რაც მოითხოვს სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ზრუნვის გაძლიერებას. საჭიროა ავაღორძინოთ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე. გავაუმჯობესოთ კლუბებისა და ბიბლიოთეკების საქმიანობა.

კულტურის რაიონულმა სახლებმა სისტემატურად უნდა მიაწოდონ მოსახლეობას ფართო პოლიტიკური ინფორმაცია, დამაჯერებლად განუმარტონ პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებანი.

კულტურის რაიონული სახლები ვალდებული არიან დააკმაყოფილონ მშრომელთა მრავალმხრივი კულტურული მოთხოვნილებანი, ამასთან ხელი შეუწყონ სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას და გასწორონ სოციალისტური მეწარმეობის, წარმოებისა და მშენებლობის მოწინავე მეთოდების ფართო პროპაგანდა, ნოვატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ისინი ყოველდღიურად უნდა ეწეოდნენ სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროპაგანდას — მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევათა პოპულარიზაციას. მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. კულტურის სახლებმა დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს აგროზოოტექნიკური და საწარმოო ტექნიკური ცოდნის დაუფლებაში.

მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადამდე ცოტა დრო დარჩა. კულტურის რაიონულმა სახლებმა ამ საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ, შეუნელებლად, საქმის დიდი სიყვარულითა და ცოდნით იმუშაონ ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედების შემდგომი განვითარებისათვის.

კულტურის რაიონული სახლების მოვალეობაა აქტივის გამოყენებით მიაღწიონ იმას, რომ ეწყობოდეს საცნობო-საკონსულტაციო მუშაობა, სტაციონარული და მოძრავი გამოფენები, თეატრული საღამოები და სპექტაკლები, ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები, რადიოგადაცემათა კოლექტიური მოსმენა, კონცერტები და კინოსეანსები.

კულტურის სახლების ლექტორიუმებმა ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ სისტემატურად იკითხებოდეს ლექციები.

ზოგიერთი კულტურის სახლი თავის საქმიანობას კულტურულ-საგანმანათლებლო ნუშაობის ერთი რომელიმე სახეობით ფარგლავს. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. კულტურის რაიონული სახლი მასობრივ ღონისძიებათა სახელმწიფო დაწესებულებაა და აქ ყველა დარგს თავისი ადგილი უნდა დაეთმოს.

დრამატულ კოლექტივებთან და მომღერალთა წრეებთან ერთად კულტურის სახლებში, სადაც ამის შესაძლებლობაა, უნდა მუშაობდნენ მუსიკალური და სახვითი ხელოვნების, აგროზოოტექნიკური და ლიტერატურული, მხარეთმცოდნეობისა და ჭრაკერვის, რუსული ენისა და ფოტოსაქმის შემსწავლელი წრეები.

კულტურის რაიონული სახლების დირექტორებად და სამხატვრო ხელმძღვანელებად უნდა მუშაობდნენ კულტურული, საქმის მცოდნე და კვალიფიციური ადამიანები, რომლებსაც ამ დარგში მუშაობის გამოცდილება აქვთ. სამწუხაროდ, ყველგან ასე როდი ესმით კულტურის სახლების ხელმძღვანელთა შერჩევის საკითხი. ზოგჯერ კულტურის სახლების ხელმძღვანელებად ნიშნავენ შუფერებელ მუშაკებს, რომლებსაც არავითარი გამოცდილება ან ცოდნა არა აქვთ კულტურის სახლში მუშაობისათვის. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება უნდა აღიკვეთოს.

კულტურის სახლები ფართოდ ვერ გაშლიან მუშაობას, თუ მათ საჭირო დახმარება და ხელმძღვანელობა არ გაუწიეს პარტიის რაიკომებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა, თუ მათს მუშაობაში აქტიურად არ ჩავსმამთ კომუნისტებსა და კომკავშირელებს, რაიონისა და სოფლის ინტელიგენციას — აგრონომებსა და მასწავლებლებს, ინჟინრებსა და ექიმებს, კოლმეურნეებს, ქალაქისა და სოფლის აქტივს.

საქართველოს სსრ კულტურის საქმისამინისტრომ და მისმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარმა სამმართველომ კულტურის სახლებსა და საკლუბო დაწესებულებებს სისტემატურად უნდა მიაწოდონ ახალი პიესები, ახალი სიმღერები, სხვადასხვა წრის პროგრამები და მეთოდური წერილები, ხშირად მიავლინონ მეთოდისტები პრაქტიკული დახმარების გასაწევად, რათა კულტურის რაიონული სახლებისა და საკლუბო დაწესებულებების მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე ავიყვანოთ.

კულტურის თვითეული რაიონული სახლი სოფლის კულტურულ-მასობრივი მუშაობის ნამდვილ ცენტრად, სოციალისტური კულტურისა და ცოდნის ნამდვილ კერად უნდა გადაიქცეოთ.

ვ. ალექსიძე.

სსრ კავშირში ჩამოვიდა ქალაქ კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს დელეგაცია

როგორც პრესაში ვიუწყებოდით, სტალინგრადის საქალაქო საბჭომ მიიღო კოვენტრისა და სტალინგრადის მეგობრობის კომიტეტისა და ქალაქ კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს წინადადება — ორ ქალაქს ერთობლივად მიემართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიისათვის მოწოდებით — აკრძალოს წყალბადის ბომბის გამოყენება, და კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს წარმომადგენლები მოიწვია ჩამოსულიყვნენ სტალინგრადს ამ მიმართვის შესამუშავებლად.

27 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდა ქალაქ კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ქალაქ კოვენტრის ლორდ-მერი ჯონ ფენელი. ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ: სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ა. მალინინი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ბ. ე. როდიონოვი, სტალინგრადის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ტ. ს. მურაშკინა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების წარმომადგენლები.

მზადება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავის დღესასწაულისათვის

ფხენიანი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რესპუბლიკის ყველა კუთხეში მიმდინარეობს მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის დღესასწაულისათვის.

ჩრდილოეთ ხამგენის პროვინციის ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლებში, მებადურთა დაბებსა და ქალაქებში ამართება ლექციები და საუბრები თემაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ და კორეისადმი საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ. სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პროვინციული, საქალაქო და სამაზრო კომიტეტები ამზადებენ ფოტოგამოფენებს, რომლებიც ყოველმხრივ ასახავენ საბჭოთა ხალხის ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, ჩხონჯინის მცხოვრებნი რთავენ საბჭოთა არმიისა და ფლოტის დალუპული მებრძოლების ძმათა საფლავს.

ტიაგანის პროვინციაში გაიმართა სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პროვინციული, საქალაქო და სამაზრო კომიტეტების წარმომადგენლების და ხელისუფლების პროვინციული ორგანოების პროპაგანდისტულ განყოფილებათა მუშაკების სხდომა, რომელმაც განიხილა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების საკითხი.

სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ხეანხეს პროვინციის კომიტეტმა საბჭოთა კავშირის შესახებ ფოტოგამოფენები გახსნა სარიონის ქუჩებში, კინოთეატრების ფოიეებსა და სხვა ადგილებში. იგი ბრიგადებს გზავნის საბჭოთა ფილმების საჩვენებლად პროვინციის ყველა რაიონში. სხვადასხვა პროვინციული ორგანიზაციების მსახიობთა დასები ამზადებენ კონცერტებს დღესასწაულის აღსანიშნავად, სწავლობენ საბჭოთა სიმღერებს, ცეკვას და სხვ.

ტრომსეში (ნორვეგია) გაიხსნა საბჭოთა მეომრების ძეგლი

ოსლო, 26 ოქტომბერი. (საკდესი). ნორვეგიის დეპეშათა ბიუროს ცნობით, საბჭოთა არმიის მიერ ჩრდილოეთ ნორვეგიის განთავისუფლების მეათე წლისთავის დღესასწაულის დღეს ტრომსეს სასაფლაოზე გაიხსნა ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი.

ნერუს გამოსვლა პეკინის რადიოთი

პეკინი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს დილით პეკინის რადიომ გადმოსცა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვა.

ნერუმ, კერძოდ, განაცხადა:

მე ვუბრუნდები ჩემი ამოცანის შესრულებას ინდოეთში, მაგრამ თან მომაქვს ყველაზე სასიამოვნო მოგონებები ამ დიდ ქვეყანაში — ჩინეთში ჩემი ხანმოკლე ყოფნისა და მისი დიდი ხალხის შესახებ. ეს მოგონებები გამამხნევებენ და ძალას შემმატებენ, მხურვალედ მწამს, რომ იმ დიადი წამოწყებების და მათ შორის ყველაზე დიდის — მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებაში, რასაც ჩვენ ვახორციელებთ, ჩვენი ქვეყნები ითანამშრომლებენ და დაეხმარებიან ერთმანეთს.

ერთხელ კიდევ მსურს დიდი მადლობა ვუძღვნა პეკინის მოსახლეობას, ჩინეთის მთავრობასა და მთელ ხალხს მათი მეგობრობისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

ერთიანი, დემოკრატიული გერმანიისათვის

ბერლინი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ტრიბუნე“ იუწყება, ბერლინში გაიმართა გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განიხილეს პროფკავშირთა ძირითადი ამოცანები სახალხო პალატის არჩევნების შემდეგ.

გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარემ გ. ვარნკემ, რომელმაც მოახსენება გააკეთა სხდომაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ აქტივობა ერთიანი, დემოკრატიული გერმანიისათვის ბრძოლაში და მთელი ძალღონე მოახმარონ მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის აღდგენას. ამასთან დაკავშირებით გ. ვარნკემ აღნიშნა, რომ საჭიროა ქმედითი დახმარება გაეწიოს დასავლეთ გერმანიის მუშებს დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა მე-3 კონგრესის გადაწყვეტილებათა განხორციელების დროს.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ

ოსლო, 28 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ფრიჰეტენი“ იუწყება, რომ ოსლოს სახალხო სახლში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც მოხსენება გააკეთა ნორვეგიის კომპარტიის თავმჯდომარემ ემილ ლევლენმა. ლევლენი შეეხო დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღებას და, კერძოდ, გამოაშკარავა იმ მტკიცების მთელი სიყალბე, რომ დასავლეთ ევროპას თითქოს საბჭოთა კავშირი ემუქრება.

მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღებისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში მისი მიღების წინააღმდეგ...

რეზოლუცია შეიცავს მოწოდებას — დაიწყოს დიდ სახელმწიფოთა მოლაპარაკება, რათა დაიდოს ხელშეკრულება კოლექტიური უშიშროების შესახებ, რომელსაც შეეძლება ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფა.

ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნისათვის

ჰაბა, 27 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ყოველკვირეული „ნივს ენ სპორტი“ წერს, ამსტერდამში აღნიშნეს ჰიტლერელთა მიერ იმ 29 ჰოლანდიელის მხეცური წამების წლისთავი, რომლებიც დაბერტეს 10 წლის წინათ. დაღუპულთა ხსოვნისათვის აღმართული ძეგლის კვარცხლბეკი შეიმკეს გვირგვინებით ჰოლანდიის კომუნისტური პარტიისაგან, ჰოლანდიის მშვიდობის საბჭოსაგან, ნიდერლანდიის ქალთა მოძრაობისა და ბევრი სხვა ორგანიზაციისა და ცალკეული პირისაგან.

საგლეოვიარო ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ მებრძოლთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვან დორპმა.

პროტესტები ინგლისის პარლამენტში ინგლისში ამერიკის „კომიქსების“ გავრცელების წინააღმდეგ

ლონდონი, 27 ოქტომბერი. (საკდესი) პარლამენტის წევრმა რამდენიმე ლეიბორისტმა შოტლანდიის საარჩევნო ოლქებიდან გუშინ თემთა პალატაში პროტესტი განაცხადა შოტლანდიაში ამერიკის „კომიქსების“ გაყიდვის წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ შოტლანდიის საქმეთა მინისტრმა აკრძალოს ამერიკელი ნაჯღაბნის გავრცელება.

როგორც ასოშიეიშნ პრესის სააგენტო იუწყება, ლეიბორისტმა ბენმა მოუწოდა შოტლანდიის საქმეთა მინისტრს დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი, რათა „შეწყდეს ამგვარი ბინძური ლიტერატურის გავრცელება“.

ლონდონი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). შოტლანდიის საგაზეთო კოსკეგის მფლობელთა ეროვნული ფედერაციის საბჭომ თავის წევრებს ურჩია არ გაავრცელონ ამერიკული „კომიქსები“. საბჭოს 27 ოქტომბრის სხდომაზე ამ საკითხზე რეზოლუციის შემტანმა ედინბურგელმა ჯონ ჰარდიმ განაცხადა, რომ ამერიკული „კომიქსები“ „საზიზღარია მოზრდილებისათვის, ბავშვებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ“. ეს რეზოლუცია სხდომის დამსწრეებმა მოიწონეს.

ადენაუერი ვაშინგტონს ჩავიდა

ვაშინგტონი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავით ვაშინგტონს მოფრინდა დასავლეთ გერმანიის კანცლერი ადენაუერი პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან და სახელმწიფო მდივან დალესთან მოსალაპარაკებლად.

თავს დაესხნენ ეგვიპტის პრემიერ-მინისტრს

კაირო, 27 ოქტომბერი. (საკდესი). კაიროს რადიო იუწყება, რომ გუშინ საღამოს ალექსანდრიაში უცნობმა პირმა ტყვია ესროლა პრემიერ-მინისტრ ნასერს, როცა იგი სიტყვას ამბობდა. ნასერი უვნებლად გადარჩა. თავდამსხმელი დაიპატიმრეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 28 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის დილისა და დღის სხდომებზე გრძელდებოდა იმ რეზოლუციების პროექტების განხილვა, რომლებიც შეიტანეს საერთო დისკუსიის დროს შეიარაღების შემცირებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საკითხზე.

კანადის დელეგაციის მეთაურმა მარტინმა კანადის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების დელეგაციების სახელით ამ დელეგაციების დავალებით შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია გადაეცეს ინდოეთის რეზოლუციის პროექტი გაიარაღების კომისიას „შესაბამისი განხილვისათვის“, აგრეთვე გადაეცეს ამ კომისიას ინფორმაციისათვის პოლიტიკური კომიტეტის იმ სხდომების ოქმები, რომლებზეც განხილულ იქნა ინდოეთის რეზოლუციის პროექტი.

ინდოეთის წარმომადგენელი მენონი დეთანხმა ასეთ პროცედურას და განაცხადა, რომ მისი დელეგაცია ხმას მისცემს ხუთთა რეზოლუციას ამ საკითხზე.

შემდეგ გამოსულმა ინგლისის დელეგატმა დიკსონმა თავის სიტყვაში მთავარი ყურადღება მიაქცია არა შეთანხმებულ საკითხებს, არამედ იმ უთანხმოებებს, რომლებიც არსებობს საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციებს შორის. მან განაცხადა, მაგალითად, რომ საბჭოთა კავშირის მიერ შეერთებული შტატების ეგრეთწოდებული „სამუშაო დოკუმენტის“ უარყოფის ფაქტს თითქოს შეუძლია შექმნას დამატებითი სიძნელენი თვალსაზრისთა შემდგომი შეთანხმების დროს განიარაღების კომისიაში.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი. უპასუხა რა დიკსონს შენიშვნებს, ვიშინსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას, მიუხედავად არსებული უთანხმოებისა, მიაჩნია, რომ ამჟამად იქმნება ძნელი ამოცანების შემდგომი ერთობლივი გადაწყვეტის შესაძლებლობა, და იგი მოელის რომ დანარჩენი პარტნიორები ისე იმოქმედებენ, რომ ხელი შეუწყონ არსებულ სიძნელეთა გადალახვას. ეს შესაძლებელია, თუ იქნება შეთანხმებული საერთო საფუძველი. ასეთ საფუძვლად, როგორც ცნობილია, მიღებულია ინგლისა-საფრანგეთის წინადადებანი, და არა ამერიკის 1954 წლის 25 მაისის „სამუშაო დოკუმენტი“, როგორც ეს შეიძლებოდა გაგვეგო ინგლისის დელეგატის გამოსვლიდან.

დიკსონის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ დიდი ბრიტანეთი ყოველ ღონისძიებას იხმარს შემდგომი შეთანხმების მისაღწევად, ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია იგრეთვე მთელ ღონისძიებას იხმარს, რათა მიღწეულ იქნას წარმატება. რომ დაიდოს შეთანხმება მისაღებ საფუძველზე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

ვიშინსკიმ კვლავ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის წინადადება ხუთი დიდი სახელმწიფოს მიერ შეიარაღების ერთი მესამედით შემცირების შესახებ, მნიშვნელოვანი ღონისძიებაა როგორც ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი და რომ შეიარაღების შემდგომი შემცირების დროს დაზუსტდება შეიარაღების დონე ცალკეული ქვეყნებისა და ცალკეული სახეობის ჯარებისათვის ცალკეული ქვეყნების სხვადასხვა ფაქტორებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

შეეხო რა იმ რეზოლუციების პროექტებს, რომლებსაც განიხილავდნენ, ვიშინსკიმ აზრი გამოთქვა ავსტრალიის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც წინადადებას აძლევს სამდივნოს შეადგინოს ისეთი დოკუმენტი, სადაც ჩამოყალიბებული იქნება დიდ სახელმწიფოთა პოზიციები განიარაღების პრობლემის სხვადასხვა ასპექტით.

ავსტრალიის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე საფრანგეთის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, ლიბანისა და ბირმის წარმომადგენლები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ვიშინსკის მოსაზრებებსა და საბუთებს.

ავსტრალიის რეზოლუციას მხარი დაუჭირეს ერაყის, თურქეთისა და ფილიპინების დელეგატებმა და გომინდანელებმა.

სალვადორის წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც წინადადებას იძლევა ავსტალიის რეზოლუციის პროექტი კენჭისყარულად გადაეცეს განსახილველად განიარაღების კომისიას.

დღის სხდომის დასასრულს კენჭი უყარეს რეზოლუციებს. რეზოლუცია, რომელიც ერთობლივად შეიტანეს კანადის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და შეერთებული შტატების დელეგაციებმა საკითხებზე: „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების მოწესრიგება, შეზღუდვა და თანაზომიერი შემცირება: განიარაღების კომისიის მოხსენება“ და „საერთაშორისო კონვენციის (ხელშეკრულების) დადება შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის აკრძალვის საკითხზე“, ერთხმად მიიღო პოლიტიკური კომიტეტის ყველა წევრმა. ამასთან დაკავშირებით თავმჯდომარე ურუტიამ (კოლუმბია) კომიტეტის სახელით მიულოცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, სსრ კავშირის, საფრანგეთისა და კანადის დელეგაციებს წარმატება და აღნიშნა ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე კომიტეტის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლუციის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ხუთი ქვეყნის მეორე ერთობლივი რეზოლუცია — განსახილველად გადაეცეს განიარაღების კომისიას ინდოეთის რეზოლუციის პროექტი — მიღებულ იქნა 58 ხმით. წინააღმდეგ ხმა მისცა მარტო გომინდანელმა.

რეზოლუცია, რომელიც შეიტანა სალვადორის დელეგაციამ, მიღებულ იქნა 47 ხმით, რვამ თავი შეიკავა. სალვადორის რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებით ავსტრალიის რეზოლუციის პროექტისათვის კენჭი აღარ უყრიათ. პოლიტიკური კომიტეტის შემდგომ სხდომაზე, რომელიც 29 ოქტომბერს გაიმართება, კომიტეტი განიხილავს თავისი დღის წესრიგის შემდეგ პუნქტს — ეგრეთწოდებულ კოლექტიურ ღონისძიებათა საკითხს.

დოკუმენტების კრებული ჯ. მასარიკისა და ე. ბენეშის კონფიდენციალური საქმიანობის შესახებ

პრაღა, 28 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა არქივის დოკუმენტების ახალი კრებული სათაურით „დოკუმენტები ჩეხოსლოვაკიის რეაქციის ანტისაბჭოთა ხრიკების შესახებ“. ახალი დოკუმენტები შეეხება ტ. მასარიკის, ე. ბენეშისა და ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიის სხვა ლიდერების თანამშრომლობას საერთაშორისო კონტრრევოლუციასთან, რომელიც ცდილობდა მოესპო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა.

კრებულის პირველი ნაწილი შეიცავს დოკუმენტებს, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული წრეები მასარიკისა და ბენეშის მეთაურობით აფინანსებდნენ ჯაშუშურ და დივერსიულ საქმიანობას საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. კრებულის მეორე ნაწილი შეიცავს მასალებს იმ დახმარების შესახებ, რომელიც გაუწია ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ ბენეშის მეთაურობით 1921-22 წლს ემიგრანტი ესერების ანტისაბჭოთა საქმიანობას, უმთავრესად 1921 წლის მარტში კრონშტადტის აჯანყების მოწყობის დროს. დოკუმენტები კვლავ ადასტურებენ ბურჟუაზიული ლეგენდის სიცრუეს მასარიკის, როგორც ხალხის განმათავისუფლებლის, შესახებ და ამხილებენ ევრეთწოდებულ უცხოეთის წინააღმდეგობის ნამდვილ ხასიათს პირველი მსოფლიო ომის დროს.

კრებულის ტირაჟია 20 ათასი ცალი.

პარიზის პრესა მენდეს-ფრანსის განზრახვის შესახებ — გააფართოოს საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობა

პარიზი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). უკვე მეორე დღეა, რაც პარიზის გაზეთები წერენ მენდეს-ფრანსის განზრახვაზე გააფართოოს თავისი მთავრობის შემადგენლობა. როგორც ცნობილია, საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა ასეთი წინადადებით მიმართა სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ უკანასკნელი კამათის დროს ეროვნულ კრებაში. ახლა გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მენდეს-ფრანსი აპირებს მთავრობაში მონაწილეობა მიიღებინოს „ზომიერთა“ სოციალისტური პარტიის, „სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირის“ და სხვა პარტიების წარმომადგენლებს პარლამენტის სესიის განახლებამდე (3 ნოემბერს ან უკიდურეს შემთხვევაში 13 ნოემბერს ამერიკაში თავის გამგზავრებამდე).

გაზეთი „ფიგარო“ იუწყება, რომ 24 ოქტომბერს მენდეს-ფრანსს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა სოციალისტური პარტიის სამ ლიდერთან — რობერ ლაკოსტთან, გასტონ დეფერთან და ალენ სავარისთან. პარიზის გაზეთები აღნიშნულ პირებს განიხილავენ, როგორც ამ პარტიის ყველაზე მოსალოდნელ კანდიდატებს მთავრობის წევრების პოსტზე.

იგივე გაზეთი „ფიგარო“ იუწყება, რომ მენდეს-ფრანსმა, შესაძლოა მთავრობის შემადგენლობაში შესვლის წინადადება მისცეს რესპუბლიკური სახალხო მოძრაობის პარტიის ზოგიერთ ლიდერს. ამასთან ასახელებენ რობერ შუმანსა და პოლიმლენს.

გაზეთი „ფრან-ტირერი“ წერს, რომ მენდეს-ფრანსს სურს იყოლიოს ორი მთავრობა: ეიწრო შემადგენლობის კაბინეტი, რომელიც მიიღებდა გადაწყვეტილებებს, და ფართო შემადგენლობის მთავრობა, რომელიც ამ გადაწყვეტილებებს შეასრულებდა.

ნამდვილ მიზნებს, რომლებსაც მენდეს-ფრანსი ისახავს თავისი მთავრობის შემადგენლობის გაფართოებით, ამღლავნებს გაზეთი „ლუმანიტე“. იგი წერს: „მენდეს-ფრანსს, რომელიც ითვალისწინებს მომავალ საპარლამენტო ბრძოლა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა შესახებ, სურს იქონიოს სოციალისტების მტკიცე მხარდაჭერა და მათ დააკისროს ნაწილი თავისი პასუხისმგებლობისა მთავრობის პოლიტიკისათვის...

იგი ისახავს მიზანს — გერმანიის რევანშისტთა მეიარაღება გამოიყენოს როგორც შემფერებელი საშუალება ფართო საპარლამენტო კოალიციის შესაქმნელად, რათა მარტონობაში არ აღმოჩნდეს და სხვებს დააკისროს თავისი პასუხისმგებლობის ნაწილი. ვინ ვერ ხედავს ასეთი ალმით ამგვარი გადაბირების საფრთხეს?“

ამერიკელ იმპერიალისტთა შეთქმულება მექსიკის წინააღმდეგ

ბერლინი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გაზეთმა „ნაციონალ-ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა მექსიკიდან მიღებული ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

მექსიკაში ეწყობა ფართო შეთქმულება, რომელიც მიმართულია მექსიკის ეროვნულად განწყობილი ძალების წინააღმდეგ. შეთქმულების ინიციატორები უნდა ვეძიოთ არა მარტო მექსიკაში. შეთქმულების მიზანია აგრეთვე გადაიყვანონ მექსიკის პრეზიდენტი რუის კორტინესი, რომელიც იყენებს მანევრირების ტაქტიკას და, რეაქციონერთა აზრით, მოკლებულია უნარს უზრუნველყოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის მათთვის საჭირო კურსის განხორციელება. ვინც გზაზე ეღობება, მას იშორებენ — იმას მოწმობს რამდენიმე მექსიკელი პატრიოტის, მათ შორის მექსიკის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის დიონისიო ენსინის დაპატიმრება.

შეთქმულთა ორი ჯგუფი — ყოფილ პრეზიდენტ ალემანის მომხრენი და გენერალ ენრიკეს გუსმანის მომხრენი ერთმანეთს ებრძვის ხელისუფლებისათვის. ისინი იყენებენ სხვადასხვა მეთოდს — ცილისწამებასა და შეიარაღებულ ტერორს, მაგრამ ის პირები, რომლებიც მათ უკან დგანან, ფაქტიურად ერთი და იგივენი არიან. ორივე ჯგუფი დაკავშირებულია ამერიკის საელჩოსთან და ამერიკის შეერთებული შტატების იმ რეაქციულ წრეებთან, რომლებიც უკვე იყვნენ ჩარეული გვატემალის ამბებში.

სპორტის ამბები

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე ბელგრადში

ბელგრადი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე ბელგრადში თამაშობდნენ მეხუთე ტურის დაუმთავრებელ პარტიებს.

პეტროსიანმა მოუგო ვეიდს (ინგლისი), იანოშევიჩმა (იუგოსლავია) — პირცს (იუგოსლავია), ბრონშტეინმა (სსრ კავშირი) — პილნიკს (არგენტინა).

იუგოსლავიის ოსტატ ივკოვისა და ჩერნიაკის (ისრაელი) პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

ამრიგად, დღევანდელ თამაშს არსებითი ცვლილებანი არ შეუტანია ლიდერთა შორის. კვლავ წინ არიან საბჭოთა გროსმაისტერები ბრონშტეინი და პეტროსიანი (თვითეულს აქვს 4,5 ქულა 5 შესაძლებელში), მათ მიჰყვება იუგოსლავიელი ოსტატი მატანოვიჩი (4 ქულა).

ბელგრადი, 28 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ). ბელგრადში საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეექვსე ტურში საბჭოთა გროსმაისტერი პეტროსიანი შეხვდა უნგრეთის გროსმაისტერ ბარცას. პარტია ყაიმით დამთავრდა.

განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლით ჩაიარა იუგოსლავიელი გროსმაისტერების ტრიფუნოვიჩისა და მატანოვიჩის შეხვედრამ. პარტია გადაიდო.

დამშვიდებული თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა რაბარ-ნდელკოვიჩისა და პორეკამილიჩის შეხვედრები.

ასეთივე შედეგით დამთავრდა ჯურიშევიჩ-ბრონშტეინისა და გლიგორიჩ-ივკოვის პარტიები. ვეიდმა წაგო კარაკლაიჩთან. საერთაშორისო ტურნირების პრაქტიკაში იშვიათი შემთხვევა მოხდა პილნიკ-იანოშევიჩის პარტიაში. გაუფრთხილებლად მოკლა რა მხედრით პიკი, შაუბს მხედველობიდან გამოეპარათ შამათი ერთი სვლით.

პირცმა მოუგო ნიეერგელტს, ჩერნიაკმა — იოპეს.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში

ბრიუსელი. 27 ოქტომბერი. მოსკოვის „სპარტაკისა“ და ბელგიის ჩემპიონის „ანდერლეხტის“ კლუბის ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება დიდ ინტერესს იწვევდა. ბრიუსელის „აიზელის“ სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით.

თამაში სპარტაკელთა უპირატესობით წარიმართა. პირველი ტაიმი მათ თავიანთ სასარგებლოდ (3:0) დაამთავრეს. მე-3, მე-11 და მე-14 წუთებზე ბურთები გაიტანეს პარშინმა, სიმონიანმა და პარამონოვმა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ანდერლეხტის“ კლუბის გუნდი კონტრშეტევაზე გადავიდა, მაგრამ უშედეგოდ. ინიციატივა კვლავ ხელთ იგდეს სპარტაკელებმა და მოწინააღმდეგის კარში დამატებით 4 ბურთი გაიტანეს (სიმონიანმა — 2, დემენტიევმა — 1, ტატუშინმა — 1).

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში დამთავრდა მოსკოვის „სპარტაკის“ გამარჯვებით ანგარიშით 7:0.

მორიგ შეხვედრას მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივი გამართავს 1 ნოემბერს ქ. ლიეჟში, რის შემდეგ ინგლისში გაემგზავრება.

ვარშავა. 27 ოქტომბერი. აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1954 წლის თასის მფლობელთა — კიევის „დინამოსა“ და ვარშავის „გვარდიის“ გუნდებს შორის. საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

პრაღა. 27 ოქტომბერი. ქ. ოსტრავაში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში ჩეხოსლოვაკიის „ბანიკასა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა „ბანიკის“ გუნდის გამარჯვებით 1:0.

მარსელი. 28 ოქტომბერი. აქ შედგა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში საბჭოთა კავშირის 1954 წლის ჩემპიონსა და საფრანგეთის ჩემპიონს — მოსკოვის „დინამოსა“ და ქ. ლილის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 2:1.

აფხაზეთის ასსრ. წელს გაგრაში გაიხსნა სანატორიუმი „მენავთობე“. სურათზე: სანატორიუმ „მენავთობის“ ტერიტორია. ფოტო პ. ლუცენკოსი. (საკდესის ფოტოქრონიკა).

დამთავრდა მეცნიერ მედიკოსთა გამსვლელი სხდომა

სოხუმი, 28 ოქტომბერი. (საქდესი). აქ მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მედიცინისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ, რომელშიც მონაწილეობდნენ სოხუმის მედიცინა-ბიოლოგიის სადგური და აკადემიის ინსტიტუტები. სხდომა ხუთ დღეს გაგრძელდა.

სხდომებზე მოსმენილ იქნა 28 მოხსენება და მოსკოვის, ლენინგრადის, კუიბიშევის, თბილისის, ერევნის, სოხუმის, სოფისა და სხვა ქალაქების კამათში გამოსული 30-მდე მეცნიერის სიტყვა გულისა და სისხლძარღვოვანი სისტემის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებზე.

მოხსენებებსა და სიტყვებში აღნიშნული იყო უახლოეს გამოკვლევათა თეორიულად და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი მასალები მოიკრიბის ინფარქტის არტერი სკლეროზის, ჰიპერტონიის წარმოშობის მექანიზმის ექსპერიმენტული მოდელირებისა და შესწავლის დარგში, კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის პირობებში გულისა და სისხლძარღვოვანი ტონუსის მოქმედების რეგულაციის საკითხებზე. ინფარქტისა და ჰიპერტონიის დროს წამლის მოქმედების ფიზიოლოგიური მექანიზმისა და გულისა და სისხლძარღვოვან დაავადებათა ექსპერიმენტული თეორიის, აგრეთვე ნერვული სისტემისა და შინაგანი ორგანოების ფუნქციონალური დარღვევის საკითხებზე.

სხდომაზე ახალი მასალები წარმოადგინეს ვენის ძარღვების სისხლის მიმოქცევის დიდ და მცირე წრეში სისხლის დენის სიჩქარის განსაზღვრის კლინიკური და ექსპერიმენტული მეთოდების შესახებ, მასალები, რომლებიც აზუსტებენ არტერიული წნევის განსაზღვრის სხვა მეთოდურად დიდმნიშვნელოვან საკითხებს. მოხსენებების საქმიანი კრიტიკული განხილვის შედეგად სხდომამ შეაჯამა მეცნიერთა განხორციელებული მუშაობის შედეგები და დასახა პერსპექტივები გულის და სისხლძარღვოვანი სისტემის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის პრობლემების შემდგომი გამოკვლევისათვის.

მოდების ატელიე რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). 28 ოქტომბერს მეტალურგთა ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე გაიხსნა კომფორტაბელურად მოწყობილი პირველი კატეგორიის მოდების ატელიე. მას აქვს ლამაზად გაფორმებული მისაღები დარბაზი და მოზრდილი სამკერვალო საამქრო, რომელშიც მუშაობას შეუდგა 4 მაღალკვალიფიციური გამომკერავი და 25 მკერავი. საამქროს უზრუნველყოფილია ელექტროდენით მოძუშავე საკერავი მანქანებით, საჭირო მოწყობილობით და ხელსაწყოებით.

გარდა დამკვეთის მასალისა ატელიე მამაკაცისა და ქალის ტანსაცმელზე დაკვეთებს იღებს თავისი მასალითაც. ამ მიზნით ატელიეს შეძენილი აქვს სხვადასხვა ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი ქსოვილები.

პირველსავე დღეს მოდების ატელიეში ტანსაცმლის დაკვეთა მისცა ათობით მშრომელმა.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 30 და 31 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში მასალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 10-15, დღისით 22-27 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 3-8, დღისით 15-20 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 7-12, დღისით 20-25 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში — ღამით 3-8, დღისით 14-19 გრადუსი სითბო.

„საქართველოს კომუნისტი“ № 10

გამოვიდა და ხელისმომწერლებს ეგზავნება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 10.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — „მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდეს ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში“, ამხანაგ **მაო ძე-დუნის** გამოსვლა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესიის გახსნისას 1954 წლის 15 სექტემბერს, **ლიუ შაო-ცი** — „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ (მოხსენება სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიაზე პეკინში 1954 წლის 15 სექტემბერს)“; სტატიები: **ვ. მელქაძე** — „მეცნიერული კომუნიზმის იდეური საგანძური“, **ს. ჯორბენაძე** — „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშვიდობის უმნიშვნელოვანესი გარანტია ევროპაში“.

განყოფილებაში „ლექცია და კონსულტაცია“ დაბეჭდილია **გ. მანჯგალაძის** სტატია — „ბინებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის შესახებ“.

განყოფილებაში „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“ დაბეჭდილია **შ. ხანთაძის** წერილი — „მონოგრაფია გორის ისტორიაზე“ და **შ. ჩხარტიშვილის** — „ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომების VIII ტომი“.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

მოქალაქენო!

არ დაგვიგვიანოთ მიულოცოთ ოქტომბრის დღესასწაული თქვენს ნათესავებსა და ნაცნობებს

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი, ფოსტამტი და კავშირგაბმულობის ქალაქის განყოფილებები წინასწარ იღებენ საოქტომბრო მისალოცე დეპეშებს, რომლებიც ადრესატს ჩაბარდება გამგზავნის მიერ ნაჩვენებ დღეს.

მაგალითად: „ჩაბარდეს 7 ნოემბერს!.“.

მოსახლეობისათვის მეტი ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით ასეთი დეპეშები მიიღება წინასწარ 5 ნოემბრამდე ჩათვლით.

ნაჩვენებ ვადაზე დეპეშების ჩაბარებისათვის და ზედმეტი სიტყვებისათვის, რომლებითაც ნაჩვენებია ადრესატისათვის ჩაბარების დღე, გამგზავნი დამატებით საფასურს არ იხდის.

მისალოცი დეპეშები მიიღება აგრეთვე ბინის ტელეფონებიდან ფასის შემდგომი შეწყობილებით ცენტრალური ტელეგრაფის სალაროში (სამხედრო ქ., № 4), ამისათვის უნდა გამოუძახოთ ტელეფონით № 06 ან 3-11-43 და გადასცეთ დეპეშის შინაარსი.

მოქალაქენო! მოიქცინენდ გამოიყენეთ თქვენი დრო! გაგზავნეთ საოქტომბრო მისალოცი დეპეშები წინასწარ. ასეთი დეპეშები ადრესატს ჩაბარდება თქვენს მიერ ნაჩვენებ დღეს.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის ადმინისტრაცია

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები

ხელს უწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს

მოთხოვნამდე, ვადიანს, მომგებიანს, პირობითსა და მიმდინარე ანგარიშებზე;

გასცემენ ანაბრებს მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე;

გზავნიან ანაბრებს მეანაბრეთა დავალებით სსრ კავშირის ყველა შემნახველ სალაროში;

აწარმოებენ აკრედიტივების გაცემასა და განაღდებას;

ანაღდებენ სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მოგებას.

შემნახველ სალაროებში შეტანილ ანაბრებზე მეანაბრეებს ეძლევათ შემოსავალი პროცენტების ან მოგებათა ს